# სასოფლო გაზეთი

მესამე წელიწადი

გამოდის შაბათობით

გაზეთის ფასი:

| გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელად: მან. |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 4 მან. | — 3 |
| ნახევრის წლისა | — 3 — | — 2 |
| სამის თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. |

ხელის-მოწერა მიიღება:
თფილისის «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში.
თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакцiи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографiи Дубелира (Г. Церетели и Ко).

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება თფილისში, დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ). სტამბაში.

№ 17 შაბათი 11 10 ოკტომბერი, 1870 წ.

შინაარსი:

ზოგიერთი ცუდი ჩვეულება ჩვენის ხალხისა —სამეურნეო ნაწილი: ცხვრის ავათმყოფობა და იმისი შეტყობა. საექიმო ნაწილი: ძუძუ მწოვარ ყმაწვილების ზრდა. რძე ძალიან [...]ელის ტყვიით მოწამლვისას. სხვა-და-სხვა ამბავი

## ზოგიერთი ცუდი ჩვეულება ჩვენის ხალხისა

მთელი საქართველოს მცხოვრებნი კარგად [ხ]ედვენ ამ დროებას და უბნობენ კიდეც, რომ [ახ]ლანდელი დრო ბევრით სჯობიან უწინდელს [დ]როებას, მაგრამ მაინც ძალიან ეძნელებათ [ა]მ დროების გვარად ცხოვრება და ქცევა; ისი[ნ]ი მისდევენ ზოგს ძველს რჯულს, ჩვე[უ]ლებაებს და ამისთვის არ ეძლევათ თა[ვ]ისუფლება განათლებაზედ.

უფრო სხვა ჩვეულებაებზედ მეტად აბნე[ვ]ებს ამ მორაჯრაკებულს დროებას ერთი ესე, [ძ]ველთაგან დაშთენილი, სახელდობ მკითხაო[ბ]ა და იმის მიყოლა. ნეტა რა სარგებლო[ბ]ისა ხედვენ ამ ჩვეულებისაგან! მკითხავი კი[დ]ევ ჭო: ხალხს ატყუებს და ისე ცხოვრობს. [ვ]ინც აკითხვინებს, იმას რა?—იმას სარგებ[ლ]ობის მაგიერად ეძლევა ზარალი. აი, რო[გ]ორ. თუ ერთს ვისმე წამოსტკივდა რამე, [მ]აშინვე გაგზავნიან და გაატანენ ერთს წყვილს [წ]მინდა სანთელს და ერთ აბაზს ფულს. მკი[თ]ხავთან წასვლა უფრო უყვარსთ დედაკაცებს, [რ]ომელთაც ჭირის მოხერხებაც კარგად შეუ[ძ]ლიანთ. ამ გვარი გაგზავნილი დედაკაცი, მივა მკითხავთან და გამოუცხადებს თავის აზრსა და მკითხავიც მოუყვება რაღაც ცრუ დარიგებას ამ სახით.

ოჰ, ვენაცვალე იმის მადლსა, ისევ იმას უფიქრებინება თქვენთვის ჩემთან მოსვლა, რადგან თავის ყმის წახდენა არა სდომებია. აი, ეხლა მე ყველას კარგად შეგატყობინებთ, და ვინძლო ყველა კარგა შეასრულოთ (მკითხავთან მისულიც, რასაკვირველია, ყურს უგდებს). იმას, იმ საწყალს ეს რა უფიქრია! მკითხავს არ ვაკითხვინებო! თავის თავის უბედურება სდომებია, მაგრამ იმის მაგიერათ ისევ მე შევეხვეწები, რომ შეუნდოს და მოარჩინოს.

ღმერთო და იმის დედ-მამის სალოცავებო, უგუნურია და აბა რა იცის თქვენი ნება, თქვენ აპატიეთ თავის დანაშაული, თქვენმა მადლმა და თქვენმა სახელმა შეეწიენით საწყალია, და მე თითონ ვიქმნები თავდები, რომ შენს კარს მოვიდეს ფეხშიშველა ფეხით, მოგართოს უნიშნო (ზოგი ხარსაც მეტყვის) ზარდაკიდებული და თავის სიგრძე და სიგანე სანთლები, თეთრებ ჩაცმული მოვიდეს შენს კარს, და გაქოს და გადიდოს; აგრეთვე დიდებაც დაიაროს *) და მონაგროვი შენ შემოგწიროს.

*) დიდებას ეძახიან, აი, ამას: როცა იმ ხატის დღეობა მოატანს, რომელსაც შეთქმული აქვს სოფლებში დაიწყებს სიარულს და მოითხოვს ფულს, სანთელს და ფქვილს,

მერე მეტყვის იქ მყოფს ავათ-მყოფისგან გაგზავნილს. «წადი, და ხომ გაიგონე რაც მევილაპარაკე, ყველა აღასრულეთ, აგრეთვე აღუკრძალავს წამლობას ავათ-მყოფზედ და ან ღორის ხორცისა, ან ცხვრის ხორცის ჭამელობასაც მეტყვის, მანამ ილოცავდეს. ზოგს მეტყვის ეხლავ შეაბით ურემი (ან თუ ფეხით) და წაიყვანეთ იმის კარსაო». აბა, იმას რა ენაღვლება, იმ ერთის აბაზისა არ იყვეს, «ხარი სხვისა, სახრე ტყისა, დაჰკარ და ნუ გებრალვისა». იმას რა დააკლდება თუნდ გაღარიბდეს და თუნდ გზაზე მოკვდეს ვინმე. ბევრჯელ კიდეც ყოფილა ამისთანა შემთხვევა, რომ ავათ-მყოფი გზაზედ მომკვდარიათ. აი, ამის მაგალითი მოგახსენოთ, მცხეთას ზევით ერთს მაღალს კლდიანს მთაზედ, რომელიც გადმოსცქერის მდინარეს მტკვარს, არის პატარა კალოუბნის წმინდის გიორგის ეკკლესია. ამ ეკკლესიაზე ლოცვა უთხრა მკითხავმა ავათ-მყოფის პატრონსა. იმანაც მაშინვე შეაბა ურემი და გაუყენა გზასა. მაგრამ საწყალი ავათ-მყოფი მიიყვანეს თუ არა, მაშინვე გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს. ეს მიამბო თვით იმისმა შვილმა, რომელსაც წაეყვანია ის ავათ-მყოფი.

ამ ჩვეულების აღსასრულებლათ ბევრჯელ დადიან გასათხოვარი ქალებიცა ფეხშიშველი რომელნიც უიმისოთ გარეთაც არ გამოდიან.

ამგვარი შემთხვევები სხვა სოფლებშიაც ისე ხშირად არის, როგორც აქა, მაგრამ ეს უფრო სისულელე არის, რომ პირუტყვის ავათ-მყოფობაზედაც აკითხვინებენ ხოლმე.

აი, ამის მაგალითსაც მოგახსენებთ; ქალაქ დუშეთის ახლო სოფლელს გლეხს გაუხდა ერთი წლის კარგი კვიცი ავათ. იმან მაშინვე კარგი ექიმივით მიჰმართა მკითხავს, რომელმაც მაშინვე მიასწავლა ერთი კვირაცხოვლის მკველი ეკკლესია. და თავისებური დარიგებაები უთხრა. ამ კაცმაც ისე აღასრულა მკითხავის დარიგება, როგორც კარგის მოძღვრისა, მაგრამ ისე იმ მკითხავს უშველოს ღმერთმა, როგორც კვიცს კვირაცხოველმა. თურმე შინ ველარც კი ჩაიყვანა.

მართალია თავი შეგაწყინეთ ლაპარაკით, მაგრამ გთხოვთ ეს ახალი ამბავიც მოისმინოთ; ამ ცოტა ხნის განმავალობაში, როდესაც მე ვსწერდი ამ სტატიას, მაშინ შემოვიდა ჩემთან ახლო მეზობლის ბიჭი დაღონებული და მითხრა გარდაცვალება თავის უფროსის ძმისა და მამიწვია კიდეცა, ვითარცა არის ქრისტიანობრივი წესი დავითნის საკითხავად. მაშინვე მეც გავანებე ამ სტატიის წერას თავი და წაველი ჩემის მოვალეობის შესასრულებლად. შევედი იმ სახლში სადაც მიცვალებული ესვენა და უთხარ წესისამებრ სამძიმარი; და ვკითხე კიდეცა იქ მყოფთა მიზეზი იმის გარდაცვალებისა, მომიგო მგლოვარემ ტირილით. «ეჰ, გენაცვალე, ნათლიავ ღმერთმაც ჩვენზედ აიღო ხელი, და ეს უსამართლობა გვიყო. აკი ღმერთს სამართალი აქვსო! აბა, ამდენი ობლები როგორ უნდა გამოვკვებოთ ამ სისხლის ფერის ჭამაში....»

«მე იმას აღარა უთხარი რა თვინიერ იმედიარის ნუგეშისა და იქ მყოფმა კაცმა კი უთხრა, შენ ღმერთს სამართლს როგორ ასწავლიო, იმან ყველა კარგად იცისო, მერე მე დავიწყე ლაპარაკი.

ეს საწყალი (მიცვალებულზედ მიიღო ხელი) აგერ ცოტა ხანი კი არ არის, რაც ეს ავათ იყო, ზოგი რა უწამლეთ და ზოგი რა, მაგრამ ვერა გავათავეთრა; ადგა ესლა ეს საწყალი და კავთაში *) წავიდა. იმას მადლი გწყალობდეს, ვითომ მორჩებიო და ის კი არა თუ ასე მოუვიდა. მე უთხარ, იმ სიმორეს რომ არ წასულიყო, თუ კი ღმერთზედ ან რომელსამე წმინდათაგანზედ ჰქონდა სასოება, განა ამ ახლო ეკკლესიათგან კი არ გაუგონებდა?—ეჰ, მე დალოცვილო. მკითხავმა კი იქ მიასწავლა და მოდი ნუ წავიდოდა. მე უთხარ, მკითხავის მამულს ბევრი მაგისთანა დაემართება მეთქი, და მოვყევი დავითნის კითხვასა.

არ გასულიყო ჯერ ნახევარი საათი, რომ მოვიდა ერთი დედაკაცი და თან მოჰყვა პაწია ბიჭი, იმას ისევ ცოცხალი ეგონა და რადაც უნდა ექნა.. მაგრამ რა კი შეიტყო, გაჩუმდა, შემოიკრა თავში და მოჰყვა ტირილსა, მაშინვე შეგროვდნენ დედაკაცები და დაუწყეს კითხვა და ლაპარაკი. ამ დროს შემოვიდა ზემოხსენებული კაცი და დაიწყო ჯავრობა, აკი ადამიანს სახელი წაუხდა. და რადა მიგაჩვენიებდა მკითხავთან, ხომ ხედავდი, რომ კაცი გათავებული იყო, მაჭყუებით რადასაც...—მეც ცოტა შევისვენე დავითნის კითხვისაგან და ვკითხე მიზეზი ჯავრობისა. იმან მომიგო რადა რა, კაცო! მე მღვდელთან კაცი გავგზავნე აზიარო-მეთქი, და ეს კი მკითხავთან გაქცეულა.

მე უთხარ რადა, საჭირო იყო მკითხავი მაშინ, როდესაც კიდევ გიკითხვინებიათ და კიდეც აღგისრულებიათ იმის დარიგება.—რავიცი, ვითომ იქნება იქ წაეყვანეთ რამეო. გენაცვალე იმის მადლსა და დიდებულებასა—სთქვა იმავე კაცმა.—მერე რა უთქვამს მკითხავსა!—ვკითხე იმ კაცსა.—რავიცი. აი, ახლა ვკითხავო და დაუწყო კიდეცა კითხვა...

მკითხავთან ნამყოფმა დედაკაცმა ხმა-მაღლად დაიწყო ლაპარაკი და მეც კარგათ მეყურებოდა.—გენაცვალეთ! მიველი თუ არა, ჯერ არც ქაღალდი გაეშალა და არცა რამ, მაშინვე მითხრა საწყალო რა გაჭირებული ხარო, რომ ისე საჩქაროთ გაიგოო».

რასაკვირველია ჩქარა შეატყობდა დედალს, რადგან იმასთან სხვა საქმისთვის არავინ მივა თუ არ საკითხავად, მაშინვე გამამართო საწირავი (საწირავს იმას ეძახიან რასაც მკითხავს სამკითხაოს მისცემენ) გაშალა ქაღალდი და მითხრა: საწყალი მალიან ავათ ყოფილაო, მერე მკითხა სად იყო ის ავათ მყოფობის წინ! მე უთხარი, რომ კავთაში იყო მეთქი, ისევ იმის მიზ[illegible] წლის თავზე კიდევ უნდა წაიყვანოთო, ახლავ საწირავი შემოავლეთ და თეთრები შეუკერეთ. ივქრი არ არის ჩქარა მორჩებაო და ნათლის მცემლისთვისაც საწირავი კი შემოავლეთ, ისიც გაჯავრებული არისო.

ამახედ იქ მყოფთ დედა-კაცებმა გაკვირვებით ჰკითხეს, გენაცვალეთ ნათლის-მცემელი საიდანღაა! მამას არ ულოცნია და პაპას ამისასა.—მეც ეგრე უთხარი ქალო, მაგრამ ისე მითხრა, რომ კავთას იასაულათ ჰყოლია აყვანილი და ისიც სასასაულოს ითხოვსო».

მე მალიან გამიკვირდა ეს ლაპარაკი, ამისთვის რომ არ მეგონა თუ საქართველოში ესრეთი უმეცარნი ხალხნი სცხოვრობდნენ. მხოლოთ ამგვარი ლაპარაკი გამიგონია ხევსურებისა, ზოგიერთა მწერლების სტატიებიდგან.

ზემოხსენებულს კაცსა ვკითხე, რას ამბობს? ნათლის-მცემელი კავთის წმინდა გიორგის იასაულათ ჰყოლია აყვანილიო!—ეგ შემატყობინე როგორ არის თუ ღმერთი გწამს,—ვსთხოვე იმ კაცსა.

იმ კაცმაც მითხრა, მკითხავების სახელი ამოაგდოს ღმერთმა, რომ ისინი ჩვენ ასე გვატყუებენ. ისინი ამბობენ, ვითომ რომ ერთი ხატი მეორე ხატს იასაულათ მიუჩენს ხოლმე, მაგრამ რა დასაჯერია, მე ჩვენი მღვდლისაგან გამიგონია, რომ ნათლის-მცემელი ყველაზედ დიდიაო, ამისთვის რომ თითონ იესო ქრისტეს უთქვამს, მოწაფეებისთვის რომ იოანე ნათლის-მცემელზედ უფროსი ჯერ არავინა შობილაო, და აბა თუ ღმერთი გწამს, წმინდა გიორგი ნათლის-მცემელს როგორ უბძანებდა; ეს სწორეთ იმისთვის მოუგონიათ მკითხავებს, რომ დედა-კაცება ხომ ერთის მკითხავსაც არა სჯერდებიან და მეორეს რომ აკითხვინებენ ხოლმე ის ველარ გაიგებს და სხვა მიზეზს ეტყვის. დედაკაცები მაშინვე ეტყვიან რომ, იმ მკითხავმა ესე გვითხრაო და შენ ამას რათ გვეუბნებიო. მაშინ ის თავის გასამართლებლად ამასაც იტყვის ხოლმე, რომ მართალია იმას მიზეზი აქვსო და ეს რადგან იასაულათ ჰყოლია ესეც გედავებათო. აი ამისთანეებით ატყუებენ ამ საწყალს დედაკაცებს. ესენიც ასტყუ-

*) კავთა არის ქვათა-ხევის მონასტრის ახლო, მაღალს მთაზედ, დაშენებული წმიდის გიორგის ეკკლესია.

დებიან. მკითხავმა გვითხრა, ჩქარა უნდა შევასრულოთო. ამათ ასე ჰგონიათ ჩვენი ქმრები რომ გარეთ დადიან ოფლებს რიყეზედ ჭკრეფავენო. ამათ სეირნობა უყვარსთ და ჩვენ კი არა გვკითხავენ.

მე ამ კაცისგან ძალიან მიამა ეს სიტყვები და უთხარ — განა არ შეიძლება, რომ მკითხავებს მკითხაობა დაამშლევინოთ და თქვენც, მკითხავთან სიარული დაიშალოთ მეთქი.» აი ნეტავი არ იქნება ღვთის მადლით, მაგრამ ვინ არის მოთავე — სთქვა იმ კაცმა....

მოყვარენო მამულისანო! ეს ჩვეულება ბევრს ზარალს აძლევს ჩვენს საყვარელს მამულს ამ ჩვეულებით ბევრი კარგი მუშა აკლდება და ბევრი ღარიბდება ამ ცრუ მკითხავების მოძღვრებით.

ამისთვის ვალი გვაქვს, ვისაც როგორ შეგვიძლიან, ვეცადნეთ ამ ჩვეულებისა და სხვებისაცა მოსპობას, მაგრამ არვიცი, როგორდა? დავარწმუნებთ ყოველნო მკითხველნო, რომ ეკკლესიის (მღვდლების) მოძღვრებაც გახშირებულია ამისთანა ჩვეულების მოსპობისათვის, მაგრამ დიდი ხნის გამაგრებულს კედელს რამდენიც უნდა ცერცვი შეუყაროთ, რა დააყენებს; აგრეთვე ჩვენს ჭაღარა მორეულს გლეხებს და ჩადრ წამოსხმულს დედაკაცებს როგორღა უნდა ვასწავლოთ, მომავალნი კი ღვთით ჯერ ანბანას სწავლობენ და იქნება ფილოსოფიასაც მიხვდნენ.

როგორც ზევით მოგახსენეთ ძნელია დროულის და ტვინ გამაგრებულის სწავლება. ისინი ამ ჩემს სიტყვებს სიცილათაც არ იკმარებენ, მაშინვე იმას იტყვიან საქმე არა აქვსთ, და ამებს სწერავენო, მაგრამ რომ ისმენდნენ ყველა დარიგებას, ან გამოსცდიდნენ, აქამდის კარგად შეიტყობდნენ წუთის სოფლისას რასმე, და კიდეც დარწმუნებოდნენ, რომ, მწერალნი არამც თუ უსაქმობისთვის სწერავენ ამისთანაებს, როგორც გლეხები ჰგონებენ და როგორც გამიგონია კიდეცა ზოგიერთისგან. არამედ ისინი ამტკიცებენ ამისთანა ლაპარაკით, მამულის ერთგულებას, ვალიც აქვსთ ჭეშმარიტად. ცოტახანი კი არ არის, რაც ზოგიერთმა მწერლებმა გამოაჩინეს ერთგულება მამულისა, ვისაც როგორ შეეძლო; მაგრამ ამ სასოფლო მოსამართლეების და მამა სახლისების ერთგულება კი იშვიათად ისმის. იმის მაგივრათ რომ საკუთრივ თვითონ შრომობდნენ, თავიანთ ძმების და მეზობლების კეთილ დღეობისათვის, არც კი ეწევიან სხვა გარეშე ერთგულად მშრომელთა.

ვიცი, როდესაც მოისმენენ ამ ჩემს სიტყვებსა ყოველნი სასოფლო მოსამართლეები, მაშინვე იმას იტყვიან, როგორ უნდა შევეწიენოთ? წერა ჩვენ არ ვიცით ისეთი რომ კორესპონდენციები შევადგინოთ, და დავაბეჭვდინოთ.

არა, ამაზედ არავინ არ გაამტყუნებს იმათ, ამისთვის რომ ყველამ იცის ასწავლებელში ესენი არა ყოფილან და საიდან ეცოდინებათ, ისე კარგად წიგნი, ზოგმა ასოს დამაც არ იციან, მაგრამ აი ამათი შემწეობა ეს იქნება.

ხომ ამის შემდეგაც ბევრ-ჯერ მოუსმენიათ ლაპარაკი მკითხავებზედ, და ესლაც ვიცი მოისმენენ, და კიდეც დარწმუნებულნი არიან, რომ მკითხავებს ზარალის მეტი არა შეუძლიანთ რა. მაგრამ გარეშე ხალხი ბევრნი არიან, რომელთაც არც ეყურებათ და არც იშლიან ამ ჩვეულებასა. ისინი როგორც ზემოთ მოგახსენეთ წამსა-და-უწუმს გარბიან მკითხავთან. ამისთვის მოსამართლეებმა უნდა დასდონ ეს რჯული, რომ რომელიც აკითხვინებს, ის დასაჯონ თავიანთის წესდების 24-ის მუხლის ძალით, ესე იგი ან ამუშაონ სასოფლო საქმეზედ, ან დაატუსაღონ და ან წაართონ ფულათ 3 მანეთი. ხოლო რომელს სოფელშიაც იქნება მკითხავი, იმის განშორებას სთხოვონ თავიანთ სოფლიდგან მთავრობას აი მაშინ დაამტკიცებენ მამულის ერთგულებას, თუ არა ესლა იმ ერთი ანდაზისავით იქცევიან, ვინც რა უნდა სთქვასო წისქვილი კი ფქვასო, ჩვენ ისევ ჩვენებურათ ვიაროთო და გაზეთებში რაც უნდათ წერონო.

პრიჩეტნიკი ი. ახალშენოვი.

## სამეურნეო ნაწილი

### ცხვრის ავათ-მყოფობა და იმის შეტყობა.

რამდენათაც უფრო კარგი ჯიშის ცხვარია, იმდენათ უფრო ადვილათ წაუხდება სისხლი, ემართება ავათმყოფობა და ეძლევა [illegible] ტვინის მატლები. თვით ქვეყნების წმინდა მერინოსები თუ ცივ ქვეყნებში ჰსურთ გადაიყვანონ, უნდა ეცადონ, რომ ახალ მოზარდი ბატკნები შეაჩვიონ სიგრილესა; ეს ასე უცბათ არ მოხერდება; რამდენიმე შთამომავლობის შემდეგ ახალი თაობა ისე დაიცდება გრილს ალაგებზე ყოფნას, რომ სიცივე აღარ აწყენს. მაგრამ ცხვრის ფარის მეპატრონე ძალიან კი უნდა ეცადოს, რომ ტანმთელი და მაგარი აგებულების ვერძები გაუშვას ფარაში. ამისთვის ატეხის წინათ დიდი თვალყურის გდებით უნდა დაათვალიეროს ყოველი ცხვარი.

ავათმყოფობა ცხვრებს შემდეგი ნიშნებით გამოაჩნდება:

* * *

1. ტანის დაზიანება. ამისთანა ავათმყოფი ცხვარი თითქოს ფარაში მიიპარებაო, თავჩაკიდებულია, აღარაფერს ყურს არ ათხოვებს; დაჭერაზე არ გარბის.

* * *

2. საკვების სიცოტავე გამხდრობით შეეტყობა ცხვარს, კანი ძალიან მიეკვრის ტანზე. ხმელი მატყლი აქვს, ბანცალს დაიწყებს და მუდამ ბღავის.

* * *

3. სტომაკის მოშლა მადის უქონლობით შეეტყობა, ცოხნა არა აქვს, ან თუ აქვს, ძალიან ნელი და უმადო, ნიადაგ სწყურია, გარეთ განავალი ან ძალიან თხელია, ან ძალიან მაგარი და მომეტებულათ მურალი; შარდი შავქაფიანი, ან წყლისფერი სისხლ ნარევი აქვს, რომელიც ძლივს, წვეთ-წვეთად გამოსდის.

* * *

4. თუ ფილტვები უხდება, ეს შეეტყობა ხშირი ხმელი ხველებით, ან ცხვირიდგან მუტეტის დენით; მძიმე ფშვინვა აქვს, სტომაქი ეძრვება და გულის ცემა უწესოთ მოსდის.

* * *

5. სისხლის წახდენა იმით შეეტყობა, რომ თვალის კილოს მარდებზე და ქუთუთოებზე შიგნით, აგრეთვე ღრძილებზე სიწითლე გაუქრება, ენა ჩირქიანი აქვს, თვალები ამღვრეული.

მატყლის გაშინჯვით კიდევ უფრო ადვილათ შეეტყობა ცხვარს უქეიფობა. ავათ-მყო-

ფოობაში ცხვარს დუმა და ტანის ქონი უყვითლდება. მატყული თითო ბალნათ რომ გაბოჭკლიჯო, ადვილათ შორდება და როგორც მის ჯიშს შეეფერება, ისე არ ეკრაკნება. თუ ბალანი სწორათ გამოგლიჯე, გაიწევს და აღარ დაიკრაკნება (დახუჭუჭდება).

* * *

საზოგადოთ ფერმქრთალი, ცუდი ფერის მატყული, უეჭველათ ცხვრის ავათ-მყოფობის მოასწავებს.

---

## საქიმო ნაწილი

ძუძუ-მწოვარ უმაწვილების ზრდა, ერთი სწავლული იტალიელი ექიმი შინჯავდა სხვა და-სხვა პირუტყვის რძეს. იქნება იმათგან ქალის რძის მგვასი რამ გავაკეთო, რომ ძუძუ-მწოვარს უმაწვილს უქალის რძეოთ არა გაუჭირდეს რაო: მაგალითად, ძროხის და თხის რძეს ხან შაქრის წყლის ნარევს ასმევდა, ხან ისე. აგრეთვე ამზადებდა სხვა საზდოებს; მაგალითად კვერცხის გულს, სახამებელს და ლერწმისგან გამოდებულს შაქარს ურევდა, ხან აიდებდა კვერცხის გულსა და შაქრის წყალს ურევდა იქამდის, ვიდრე თეთრი რძის მგზავსი საზდოთ არ გადაიქცეოდა და ამას ხმარობდა. მაგრამ იმან შენიშნა, რომ ეს სხვა და-სხვა ნაირათ მომზადებული საზდო სრულებით არ გამოდგა და ვერც-ერთმა დედის რძის მაგიერობა ვერ ქმნა. ძროხისა და თხის რძის გარდა სხვა კაცის ხელით ნაცოდვილევი საზდო რგების მაგიერათ პირ-და-პირ ავნებსო.

* * *

ბელლუციმ შენიშნა, რომ ძროხისა და თხის რძით რომელიც იკვებებოდა, იმ უმაწვილს პირი უყარდა. და ეს, როგორც ის ფიქრობს, იმის ბრალი იყო-ვო, რომ უმაწვილი კარგათ ვერ ინელებდა ამ რძესო. ბოლოს ის აი, ამ დარიგებას აძლევს, ვისაც ძუძუს უმაწვილები ჰყავთ გასაზდელი.

1) უპირველესი მოვლა ახალ დაბადებულის უმაწვილისა ის იქნება, რომ დედის ძუძუთი ან ძიძათი დაუწყონ კვება.

* * *

2) თუ ძუძუ საკმაოთ არა აქვს დედას, არც ძიძას, და მეტი გზა არ არის სხვა საზდო უნდა მისცენ, მაშინ სხვანაირ საზდოს ისევ წყალ ნარევ ძროხის ან წყალ ნარევი თხის რძე სჯობია და იმათაც უნდა ასაზდოვონ.

* * *

3) თუ ძიძას რამე შემთხვევით წაუვა და უმაწვილს, რომელიც რვა-ცხრა თვის არის და ჯერ კიდევ კბილები საკმაოთ არა აქვს, უეჭველათ მეორეთ უნდა უშოვნოთ ძიძა.

* * *

4) მარტო ერთი წლის ძუძუთი კვება უმაწვილისა არ არის საკმაო, ამიტომ რომ ძალიან ბევრი ის უმაწვილები კვდებიან, რომელთათვისაც ერთი წლის მეტი არ უწოვებიანებიათ.

* * *

5) თუ უმაწვილისთვის ძუძუ გაუშვებინებიათ და იმით ძალიან ავათ გამხდარა, პირველი მოსარჩენი საშუალება ის იქნება, რომ ხელ-მეორეთ დააწყებინონ ძუძუს წოვება.

* * *

თუ უმაწვილი ძალიან ტან-მთელია, ერთი წლის ძუძუს წოვება გაეყოფა, მაგრამ თუ უმაწვილი სუსტია წელიწად-ნახევარიც უნდა აწოვონ. საზოგადოთ რომ ვთქვათ: როდესაც უმაწვილებში ყვანა გახშირებულია, მაშინ წლის-ნახევრისაც არ უნდა გააშვებინო ძუძუ.

დედას ორ წლამდის არუშრებს რძე და აქედგან აი ეს უნდა გამოვიყვანოთ, რომ ორი წლის ადრე არც უმაწვილს უნდა გააშვებინონ ძუძუ.

* * *

### რძე ძალიან შველის ტყვიით მოწამლას.

ერთმა ტყვიის ქარხნის მეპატრონემ გამოიკვლია დაწვრილებით რამდენათ შველის რძე ტყვიით მოწამლულსა და ბევრი მომეტებულათ სასარგებლო ცოდნა შესძინა ექიმობას. იმის ქარხნის მუშები რამდენს საშუალებას არა ხმარობდენ, რომ როგორმე გაექროთ ჰაერში ტყვიის მარილის მტვერი იქ, სადაც მუშაობდენ; მაგრამ ვერა მოახერხესრა. ბევრს მუშებს გამოაჩნდა ტყვიის მარილით მოწამლვა, მაგრამ შესანიშნავი ეს იყო, რომ მხოლოდ ორ მუშას არა დაეტყოთრა მოწამლულობისაგან, თუმცა დიდხანს მუშაობდენ ქარხნებში. ბოლოს გამოჩნდა, რომ ეს ორი მუშა თურმე რძეს ეძალებოდენ და განსაკუთრებით თვითონ ქარხანაში დანაყრების დროს უფრო ბლომათ სვამდენ.

* * *

ეს გარემოება რომ შენიშნა თვითონ ქარხნის პატრონმა, მაშინვე მოახდინა განკარგულება, რომ ყველას დაუწყონ რძის სმევინება: თითო მუშას დღეში ერთი ბოთლი რძე უნდა დაელია, ასეთი წესი დასდვეს იმ ქარხანაში. ამის შემდეგ ერთი წელიწად-ნახევარი გავიდა ისე, რომ ტყვიით მოწამლვა არავის შესტყობია.— ეს წამალი მარტო ახლა არ უცდიათ, წინადროებაშიაც იცოდენ და როცა ვინმე ტყვიით მოიწამლებოდა, ცდილობდენ მსუქანი ნივთიერებით, რძით და ერბოთი ეწამლათ.

---

## სხვა და სხვა ამბავი

ამ ოთხის წლის წინათ რომ პრუსსიასა და ავსტრიას შუა ომი მოხდა, იმან ცხადათ დაამტკიცა, რომ გამწარებულს ბრძოლას იმდენი ზარალი არ მოაქვს კაცებისკვლით, რამდენიც სხვა ავათმყოფობას, რომელიც თან დასდევს ომიანობას. ზემოხსენებულს ომიანობაში სწავლული ექიმების შეწერობის გამოანგარიშებით, რამდენი ბრძოლაში მომკვდარა, რამდენი უბრალო გადამდები ავათმყოფობით. გამოსულა, რომ რაც ომს მოუკლავს, ორი იმდენი გადამდებს ავათმყოფობებს უკანას, ხოლერას და სხვ.

* * *

მაგალითად ომის დაწყების წინათ ერთ წელიწადს ოთხას ოცდა ორი კაცი მომკვდარა მარტო ხოლერით; ომიანობის დროს კი იმავე სენს გაუწყვეტია ას სამოცდა ექვსი ათას კაცამდის. სწავლულების გამოანგარიშებით ესეცა სჩანს, რომ ზემოხსენებულს ომიანობაში ხოლერით და სხვა ავათ-მყოფობით იქ უფრო ბევრი კვდებოდა, სადაც ჯარები იყო შეგროვილი. მარტო უნგრიაში მოკვდა სამოცდა ათი ათას კაცამდის, მაშა-სადამე მთელ ავსტრიის იმპერიაში ხოლერას გაუქვრია ორას ოცდა თექვსმეტი ათასი კაცი. ამ სახით მეოთხედი მილიონი ერი სულ ხოლერას გაუწყვეტია იმ ომიანობის დროს და თუ ომიანობა არ ყოფილიყო, უეჭველია ეს უბედურობა არ მოხდებოდა. როგორც ამტკიცებენ იმ წელს ძალიან კარგი ამინდები იდგა ერის ტან-მთელობისთვის, ომიანობას რომ ხოლერა არ მოჰყოლოდაო.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Октября, 1870 г. დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.